

საინჟინერო ინსტრუმენტების გამცემი მექანიკური აპარატის
მომხმარებელთა სარისკო ქცევის შეფასება

თამარ ლეონიძე

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა
და ხელოვნების ფაკულტეტის ადიქციის კვლევების მაგისტრის აკადემიული ხარისხის
მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

„ადიქციის კვლევების“ სამაგისტრო პროგრამა

სამეცნიერო ხელმძღვანელები: ირმა კირთაძე, საზოგადოებრივი ჯანდაცვის დოქტორი,
ასისტენტ-პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2021

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

თამარ ლეონიძე



25.06.2021

აბსტრაქტი

შესავალი: ნარკოტიკის ინექციურ მოხმარებას ახასიათებს სხვადასხვა ტიპის სარისკო ქცევა, რაც ხშირად დაკავშირებულია ინფექციური დაავადებების გავრცელებასთან (ძირითად შემთხვევაში აივ შიდსი და B/C ჰეპატიტები). გაეროსა და ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ შემუშავდა რეკომენდაციები, რაც ემსახურება ნარკოტიკების ინექციურ მოხმარებელთა პოპულაციაში აივ ინფექციისა და სხვა სისხლით გადამდები დაავადებების პრევენციას და ზიანის შემცირებას, მათ შორისაა შპრიცებისა და ნემსების პროგრამა. აღნიშნული პროგრამის ერთ-ერთი მოდელია საინექციო ინსტრუმენტების გამცემი მექანიკური აპარატები (სიგმა), რომელიც 24/7 მუშაობის რეჟიმით უზრუნველყოფს საინექციო ინსტრუმენტებზე უწყვეტ ხელმისაწვდომობას. 2019-2020 წლებში, საქართველოში, თბილისში პირველად დამონტაჟდა სიგმა, რომელსაც 800-მდე რეგულარული მომხარებელი ჰყავს, დღევანდელი მონაცემებით. სიგმას მომხმარებლებში ჩატარდა ონლაინ გამოკითხვა, რომელიც ნებაყოფლობით შეავსო აპარატის მომხმარებელთა დაახლოებით 10%-მა. ჩემი კვლევის მიზანია, წარმოვადგინო ონლაინ კვლევაში მონაწილე სიგმას მომხმარებელთა სარისკო ქცევების შეფასება, რაც დაკავშირებულია შპრიცების გაზიარებასთან, დაუცველ სქესობრივ კავშირებთან და ფსიქოაქტიური ნივთიერებების მოხმარებასთან.

მეთოდოლოგია: კვლევის მეთოდია რაოდენობრივი, ჯვარედინ სექციური, ონლაინ გამოკითხვით მიღებული მონაცემების მეორადი ანალიზი. კვლევითი ცენტრის „ალტერნატივა ჯორჯიას“ მიერ განხორციელებული პროექტის ფარგლებში ჩატარდა კვლევა. მონაცემებზე წვდომის მოპოვება უზრუნველყო სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელმა. ჩემი კვლევის მიზნიდან გამომდინარე, დავამუშავე მონაცემები, რომელიც მოიცავდა ინფორმაციას სარისკო ქცევებსა და მოხმარების ისტორიაზე. მონაცემთა ანალიზისთვის გამოვიყენე პროგრამები SPSS (v.26) და Excel.

შედეგები: კვლევაში მონაწილეობა მიიღო 131-მა რესპონდენტმა, მაგრამ არასრულად შევსებული კითხვარების გამო, კვლევას გამოეთიშა 9 მონაწილე. საბოლოოდ, კვლევისთვის დამუშავდა 122 რესპონდენტის მონაცემი. მათ შორის ძირითადად იყვნენ კაცები (88.8%). მონაწილეთა ასაკობრივი განაწილება მერყეობდა 19-დან 64 წლამდე. რესპონდენტთა უმრავლესობაში (68.1%) დაფიქსირდა ერთზე მეტი სხვადასხვა ფსიქოაქტიური ნივთიერების მოხმარება, ბოლო 6 თვის განმავლობაში. კვლევამ აჩვენა, რომ ერთზე მეტი ფსიქოაქტიური ნივთიერების მოხმარება კორელაციაშია ზედოზირებასთან ($X^2(30) = 50.045, p > 0.012$). რესპონდენტთა მცირე ნაწილმა (2%) აღნიშნა, საკუთარი ნახმარი შპრიცის სხვისთვის გადაცემა, ბოლო 1 თვის განმავლობაში. თუმცა, გაცილებით მეტმა მონაწილემ (19%) დააფიქსირა საკუთარი ნახმარი შპრიცის მეორედ ან მეტჯერ გამოყენება. რესპონდენტთა 22%-ში დაფიქსირდა საერთო მოხმარების ჭურჭლის გაზიარება. კვლევაში მონაწილეთა 21%-ში დაფიქსირდა 2 ან მეტ სხვადასხვა სქესობრივ პარტნიორთან კონტაქტი, ბოლო 1 თვის განმავლობაში. ის რესპონდენტები, რომელთაც არამუდმივი სქესობრივი პარტნიორები ჰყავდათ, უმეტესად ან ყოველთვის იყენებდნენ კონდომებს, სქესობრივის კავშირის დროს, ბოლო 1 თვის განმავლობაში, განსხვავებით იმათგან, ვისაც ერთი მუდმივი პარტნიორი ჰყავდა ($\chi^2(20) = 39.349, p > 0.006$), განსხვავება სტატისტიკურად მნიშვნელოვანია.

დასკვნა: სიგმას მომხმარებლებში დაბალია საკუთარი ნახმარი შპრიცის სხვისთვის გადაცემის სიხშირე, თუმცა მაღალია ერთზე მეტი ფსიქოაქტიური ნივთიერების მოხმარების მაჩვენებელი, რაც ხდება ზედოზირების მიზეზი. აგრეთვე მაღალია არამუდმივ პარტნიორებთან სქესობრივი კავშირის დროს კონდომების გამოყენების მაჩვენებელი. კვლევა საჭიროებს განმეორებით ჩატარებას, სიგმას მომხმარებელთა ქცევის ცვლილების დინამიკის შესაფასებლად.

საკვანძო სიტყვები: ნარკოტიკების ინექციური მომხმარებელი (ნიმ); ზიანის შემცირება; შპრიცებისა და ნემსების პროგრამა; საინექციო ინსტრუმენტების გამცემი მექანიკური აპარატი (სიგმა); აივ ინფექცია; B/C ჰეპატიტები.

Abstract

Introduction: injection drug use is characterized by a variety of risky behaviors, often associated with the spread of infectious diseases (mainly HIV/AIDS and B/C hepatitis). Recommendations have been developed by the United Nations and the World Health Organization to help prevent and reduce the risk of HIV and other blood-borne diseases in the population of injection drug users, including the needle and syringe program. One of the models of this program is syringe vending machine (SIGMA), which provides continuous access to injection instruments in 24/7 mode. In 2019-2020, vending machines were installed for the first time in Georgia, Tbilisi, accumulating about 800 regular users, according to data at present. An online survey was conducted among vending machine users, which was voluntarily completed by about 10% of the app users. The aim of my research is to present vending machine users' risky behaviors related to syringe sharing, unprotected sex and psychoactive substance use.

Methodology: The research method is a secondary analysis of quantitative, cross-sectional, online survey data. The research was conducted within the project implemented by the research center "Alternative Georgia". Access to the data was provided by supervisor of the Master Thesis. For the purpose of my research, I processed data that included information on risky behaviors and consumption history. I used SPSS (v.26) and Excel software for data analysis.

Results: 131 respondents participated in the study, but due to incompleting questionnaires, 9 participants were excluded from the study. Finally, data from 122 respondents were processed for the study. Among them were mostly men (88.8%). The age distribution of participants ranged from 19 to 64 years. The majority of respondents (68.1%) reported consuming more than one psychoactive substance in the last 6 months. The study showed that consumption of more than one psychoactive substance correlated with overdose ($\chi^2(30) = 50.045, p > 0.012$). A small proportion of respondents (2%) mentioned handing over their used syringe to someone else

during the last 1 month. However, far more participants (19%) reported using their own used syringe a second or more time. Sharing common utensils was observed in 22% of respondents. 21% of study participants had contact with 2 or more different sexual partners in the last 1 month. Respondents who had various sexual partners, most or always used condoms, during sexual intercourse during the last 1 month, in contrast to those who had one permanent partner ($\chi^2 (20) = 39.349, p > 0.006$), the difference is statistically significant.

Conclusion: Vending machine users have a low rate of transmission of their own used syringe to others, although a high rate of consumption of more than one psychoactive substance, which causes overdose. The rate of condom use during sexual intercourses with non-permanent partners is also high. The study needs to be repeated, to assess the dynamics of changes in vending machine users' behavior.

Keywords: Injection drug user (IDU); Harm reduction; Needle and syringe program; Vending machine; HIV/AIDS ; B/C hepatitis.

მადლობა

პირველ რიგში, მადლობას ვუხდით ჩემს ხელმძღვანელს, ქალბატონ ირმა კირთაძეს, ჩემთვის დათმობილი დროისთვის, გაზიარებული ცოდნისთვის, გაწეული რეკომენდაციებისა და უკუკავშირებისთვის, რაც დამეხმარა სამაგისტრო ნაშრომის სრულყოფილად შესრულებაში.

აგრეთვე, დიდ მადლობას ვუხდით დამოკიდებულების კვლევითი ცენტრის „ალტერნატივა ჯორჯიას“ დირექტორს და „ადიქციის კვლევების“ პროგრამის ერთ-ერთ ხელმძღვანელს, ბატონ დავით ოთიაშვილს, ჩემი კვლევისთვის საჭირო ინფორმაციის გაზიარებისთვის და სამეცნიერო ლიტერატურის მოწოდებისთვის.

ასევე, მადლობას ვუხდით „ადიქციის კვლევების“ პროგრამის ხელმძღვანელებს და ლექტორებს, განსაკუთრებით, ქალბატონ ჯანა ჯავახიშვილს, რომლებიც გვაწვდიდნენ მაქსიმალურ ცოდნას თანამედროვე მიდგომებსა და მტკიცებულებებზე დაყრდნობით, რამაც მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ჩემი სამაგისტრო ნაშრომის ჩამოყალიბებასა და შესრულებაში.